

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს „თელადას“ ს/კ 202462370
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	4
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები.....	4
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	4
3.1. ამონაგების აღიარება.....	4
3.2. ფინანსური ინსტრუმენტები.....	5
3.3. ნასესხებ ხარჯებთან დაკავშირებული დანახარჯები.....	5
3.4. ძირითადი საშუალებები.....	6
3.5. არამატერიალური აქტივები.....	6
3.6. მარაგები.....	6
3.7. იჯარა.....	6
3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო.....	7
3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	7
3.10. მოგების გადასახადი.....	7

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ნაღდი ფული სალაროში	580884	316546
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	118553	99310
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221368	377466
სასაქონლო მარაგები	0	62125
შენობა-ნაგებობა	437420	553287
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	102023	24002
ელექტრო მოწყობილობები (კომპიუტერები, მობილური)	9441	2469
ავეჯი ოფისისთვის	28503	35754
სულ აქტივები	1498192	1470959
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	314601	302735
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	100000
სულ ვალდებულებები	314601	402735
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1183591	1068224
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1498192	1470959

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული პერიოდისათვის

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
საქონლის გაყიდვიდან	9219972	7223109
გაყიდვების თვითღირებულება	-7721780	-6299297
საერთო მოგება	1498192	923812
დასაქმებულთა ანაზღაურება	-456698	-365399
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-44506	-21987
საპროცენტო ხარჯი	-9047	0
საწვავის ხარჯი	-117868	-82924
კომუნალური გადასახადი	-44337	-41144
ავტოსატრანსპორტო საშუალო.რემონტი	-45161	0
ადმინისტრაციული ხარჯი	-16938	0
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-203148	-5603
ძირითადი საშუალებების რემონტი	-140765	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-18962	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-1097430	-517057
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	400762	406755
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1068224	830619
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-285395	-169150
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1183591	1068224

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული პერიოდისთვის

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი
2021 წ. მოგება/ზარალი		1068224
2022 წ. მოგება/ზარალი		1183591

ძირითადი საშუალებები	2022 წლის ცვეთა	საბალანსო ღირებულება
----------------------	-----------------	----------------------

	31/12/22
სხვა ძირითადი საშუალებები	568217

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხული წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თელადა“ ს/ნ 202462370 (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 9 ოქტომბერს. საწარმოს იურდიული მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფ. ნატახტარი. საწარმო დაფუძნებულია და 100 % წილის მფლობელი საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ბორის მიდელაური (პ/ნ31001001543).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმო სამუშაო ვალუტა, ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრიდან დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულებამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინაშესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსსფასს-ზე გადასვლის თარიღია 2021 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური

ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით ძირითანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ ხარჯებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები;

შენობა-ნაგებობები - 5%

საოფისე აღჭურვილობა -10%

ავეჯი და მოწყობილობები -10-14%

სატრანსპორტო საშუალებები -20%

სხვა ძირითადი საშუალება - 10%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით, ამორტიზაციის ასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10 პროცენტი. თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშანი, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. 3.6 მარაგები

მარაგი ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიან გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელის პოტსავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარისწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით, საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/ მომსახურეობის გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს, საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდით ან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:
ზორის მიდელაური/

